დანართი

შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეა ლილუაშვილი

წევრები:

მაია ომიაძე

თათია კაციტაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება:შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: **402022609**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2022 წლის 3 მაისის N442865 ბრძანების საფუძველზე „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 23, 24 და 25 მაისს.

ვიზიტი წარიმართა თანდართული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციის წევრებს, პროფესიულ სტუდენტებს, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, პარტნიორი კლინიკების წარმომადგენლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის მატერიალური რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☐	☐	☐	☒
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☐	☒	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☒
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულება თანამშრომლობს გერმანიის ქ.პირმასენსის მუნიციპალურ კლინიკასთან, თანამშრომლობის ფარგლებში კოლეჯის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ეძლევათ თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმდნენ აღნიშნულ კლინიკაში;

დაწესებულება ასევე თანამშრომლობს კორპორაცია ევექსთან, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი შეფასებით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის დაფინანსებას. აღნიშნული სტუდენტი სწავლის პერიოდში დასაქმებულია კორპორაცია ევექსის კლინიკაში, დაფინანსების შენარჩუნების პირობაა პროფესიული სტუდნეტის მაღალი შეფასება.

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

რეკომენდაციები არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

3.2.1

დარღვეულია სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების ვადები სტატუსის მოპოვებასთან მიმართებაში და აცდენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ჩარიცხვის პერიოდს. შესწავლილი სასწავლო ხელშეკრულებები ნაცვლად მინისტრის მიერ განსაზღვრული ჩარიცხვის ვადებისა (01.10.2021-10.10.2021) დათარიღებულია 2021 წლის 8 ნოემბრით, ხოლო სარეგისტრაციო ჟურნალში დარეგისტრირებულია 2021 წლს 16 დეკემბრით.

5.2.2

დაწესებულების საქმისწარმოება არ შეესაბამება კანონმდებლობას (საქართველოს პრეზიდენტის N414 ბრძანებულება „საქმისწარმოების ერთიანი წესები“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი).

დაწესებულება გონივრულ ვადებში არ ასახავსს შიდა მარეგულირებელ აქტებში კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცვლილებებს და საჭიროების შემთხვევაში არ მოუხდენია საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი უწყებების ინფორმირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები:

1.1.1 ქვესტანდარტი

კოლეჯის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი, განთავსდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე.

1.2.2 ქვესტანდარტი

კოლეჯმა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

2.2.1 ქვესტანდარტი

დაწესებულებამ ნათლად განსაზღვროს და სხვადასხვა რეგულაციებში შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტის განთავსება.

3.1.1 ქვესტანდარტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ჩარიცხვის პროცედურა ადაპტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით გაწერილ ვადებთან და მოთხოვნებთან. ამასთან, როგორც საჯარო დოკუმენტი ნათლად იძლეოდეს წარმოდგენას შერჩევის პროცედურების, შერჩევის ალტერნატიული მეთოდებისა და აპელაციის მექანიზმებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს. დაწესებულებამ უზრუნველყოს რეგულაციის შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანთა რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე.

4.1.2 ქვესტანდარტი

1.შინაგანაწესი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს შრომის კოდექსთან და მასში აისახოს დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები, დაწესებულებამ უზრუნველყოს ცვლილებების გაცნობა კოლეჯის პერსონალისთვის. რეგულაციები მოვიდეს შესაბამისობაში მთავრობის დადგენილებასთან „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“.

2.პერსონალის მოზიდვა-შერჩევის პროცესი უნდა არეგულირებდეს სამუშაოზე აყვანის გამჭირვალე და გაწერილ პროცედურას, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს კვალიფიციური და შესატყვისი კადრების მოზიდვას და შერჩევას; პერსონალის შერჩევის პროცედურა უნდა იყოს მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე.

3. დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი მტკიცებულებების განთავსება პერსონალის პირად საქმეში.

4.2.1 ქვესტანდარტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასების მექანიზმები. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მექანიზმი იყოს გამჭირვალე, მკაფიო და ნათელი. დადგენილი წესი და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პერსონალისთვის. ზემოაღნიშნულ მექანიზმში განსაზღვრული უნდა იყოს: შეფასების სახე, შეფასების პერიოდი, შემფასებელი/შემფასებლები და სხვა. შემფასებელი/შემფასებლები განისაზღვრება პერსონალის ფუნქციებიდან გამომდინარე. ეს შესაძლოა იყოს: შესაბამისი სტრუქტურული პირი/პირები, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სხვა.

პერსონალის საქმიანობის შეფასება უნდა ატარებდეს ფორმალურ და სისტემატურ ხასიათს. თანამშრომელთა საქმიანობის და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი უნდა მოხდეს დაწესებულების მიერ წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში. დაწესებულება უნდა ახდენდეს მონიტორინგის შედეგების ანალიზს, რის შედეგებსაც უნდა იყენებდეს პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის.

ასევე გაიწეროს მექანიზმი, თუ როგორ ახდენს დაწესებულება ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და მათ ეფექტურად ჩართვას სამუშაო პროცესში.

ზემოაღნიშნულ მექანიზმში ასახული უნდა იყოს პირი/პირები, რომლებიც ჩართულები იქნებიან ინტეგრაციის პროცესში.

5.1.1 ქვესტანდარტი

დაწესებულებამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურება.

5.2.1 ქვესტანდარტი

დაწესებულებამ მოიპოვოს თანხმობა პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისგან პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დაწესებულებამ შეიმუშავოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც შეაფასებს როგორც ინფორმაციის ტექნოლოგიების ფიზიკურ ინფრასტრუქტურას,ასევე პროცესების ეფექტიანობას.

5.2.2 ქვესტანდარტი

დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა.

5.2.3 ქვესტანდარტი

პროგრამასა და რეგულაციებში ასახული ცვლილებები გონივრულ ვადაში განახლდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე.

რეგულარულად (ყოველწლიურად ან განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად) განახლდეს და კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსდეს კატალოგი.

2.1.1 ქვესტანდარტი

დაწესებულებამ უზრუნველყოს კოლეჯის მარეგულირებელი აქტების შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებასთან პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე.

დაწესებულებამ უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის დანართების (მოდულების) მოქმედ ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანა.

2.2.1 ქვესტანდარტი

დაწესებულებამ ნათლად განსაზღვროს და სხვადასხვა რეგულაციებში შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. უზრუნველყოს მოდულებში განსაზღვრული ყველა სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში მატერიალური ან ელექტრონული სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.4.2 ქვესტანდარტი

კოლეჯის შიდა მარეგულირებელ აქტებში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული ჩანაწერები მოვიდეს შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტის ჩანაწერებთან და განმსაზღვრელი შეფასებისას გამოყენებული იქნას მხოლოდ კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება. დაწესებულებამ განსაზღვროს მტკიცებულებების აღრიცხვის ფორმა და ვადები.

განმავითარებელი რეკომენდაციები:

1.2.1 ქვესტანდარტი

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნებისთვის რეკომენდებულია თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრული იყოს კონკრეტული დროის პერიოდი, როცა იგეგმება შესაბამისი აქტივობა (მაგალითად შესრულების თვე/თვეები). ასევე დაკონკრეტდეს რომელი თვიდან რომელ თვემდე პერიოდს მოიცავს სასწავლო წელი.

3.1.1 ქვესტანდარტი

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია იმსჯელოს ადმინისტრაციის საბჭოს კომპეტენციაზე და უზრუნველყოს უფლებების სწორი დელეგირება, რაც ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ასევე მობილობის წესში დაზუსტდეს მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების ყველა შესძლო უფლებამოსილება, მათ შორის პროგრამაზე დაშვების წინაპირობისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი, შესაბამისი დონისა და კვალიფიკაციის თავსებადობის გათვალისწინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესის“ შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

რეკომენდირებულია, მიღებული განათლების აღირების წესი ადაპტირდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღირების წესთან“ და გაიწეროს ფორმალური განათლების აღიარების საფუძველი, ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები, განცხადების წარდგენისა და წარმოების ვადები, კომისიის ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია იმსჯელოს განმეორებითი შეფასებისათვის დადგენილ ვადებთან დაკავშირებით, ვინაიდან 1 კვირის ვადაში 3-ჯერადი გადაბარება ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგის ადეკვატურ მიღწევას. ამასთან განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის ვადები ერთმანეთთან უზუსტობაშია და -სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ზემოაღნიშნული მექანიზმების ვადების შესაბამისობა, რათა პროფესიულ სტუდენტს არ შეეზღუდოს იმ მოდულზე დაშვების უფლება, რომელიც ე.წ. წინაპირობიანი მოდულის შემდეგ ხორციელდება.

პროფესიულ სტუდენტთა გასაჩივრების წესში ასევე გაიწეროს საჩივრის განხილვისა და მასზე რეაგირების ვადები და პროცედურები, კომისიის უფლებამოსილების, ფორმირებისა და საქმიანობის მექანიზმები.

ექსპერტთა მხრიდან ყურადღება გამახვილდა პროფესიულ განათლებაში სემესტრისა და კურსის ცნებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ყურადღება გაამახვილოს პროფესიული განათლების კანონით გაწერილ ტერმინთა განმარტებაზე და შესაბამისობაში მოიყვანოს შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები.
სასწავლო ხელშეკრულებით სწავლის საფასური მოიცავს დაფინანსების ორივე გარემოებას (საბიუჯეტო/არასაბიუჯეტო) და სასურველია გაიმიჯნოს კონკრეტული მიღების პროფესიული სტუდენტების სწავლების დაფინანსების შესაძლო ალტერნატიული მიდგომები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ისგ შემუშავების მექანიზმი შესაბამისობაში მოიყვანოს არსებულ მოცემულობასთან მიმართებაში და დაზუსტდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ალტერნატიული შემთხვევებიც, მათ შორის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის, მობილობის შესაძლო გარემოებები და გაიწეროს არასრულწლოვანის პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის/პროფესიული სტუდენტის ჩართულობა ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

3.2.1 ქვესტანდარტი

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია შეიმუშაოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ინიცირების პროცედურას, განხილვის ვადებს და პირობებს, დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, ვადებს, რესურსებსა და ინფორმირების საშუალებებს.

რეკომენდირებულია, კითხვარები იყოს კვლევის მიზნის რელევანტური, გაიწეროს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, კვლევის ჩატარების პერიოდები, ძირითადი პარამეტრები, რაც მოკვლეული იქნება აღნიშნული გამოკითხვების შედეგად და მიღებული მონაცემები უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

4.1.2 ქვესტანდარტი

რეკომენდირებულია, შინაგანაწესის და შრომითი ხელშეკრულების ჩანაწერები სამუშაო საათების შესახებ მოვიდეს შესაბამისობაში.

5.1.1 ქვესტანდარტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

რეკომენდირებულია, დაწესებულებამ იჯარის ხელშეკრულების შეთანხმება და ქვეიჯარის ხელშეკრულება დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში.

რეკომენდირებულია, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოეკრას თვალსაჩინო ადგილზე.

2.2.1 ქვესტანდარტი

რეკომენდირებულია, შემუშავდეს რეგულაცია, სადაც განისაზღვრება საჭიროების შემთხვევაში თუ ვის მიერ და როგორ მოხდება რესურსების ცვლილება, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება.

რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გამიჯნოს პროგრამის ხელმძღვანელის და სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. რეგულაციაში ან/და ხელშეკრულებით განსაზღვროს ვინ ითავსებს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებს.

2.3.1 ქვესტანდარტი

მოხდეს დამსაქმებლის და კურსდამთავრებულთა კითხვარების სრულყოფა, ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით მომზადდეს ანგარიშები/რეკომენდაციები. ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში მოხდეს აღნიშნულის დოკუმენტირება.

2.4.1 ქვესტანდარტი

რეკომენდირებულია, დაწესებულებამ სრულყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია, გაითვალისწინოს სტატუსის აღდგენის და მობილობის შემთხვევები, განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართული პირები,დამტკიცების ვადები, ასევე უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ჩართულობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას.

დაწესებულებამ უზრუნველყოს სახარჯი მასალების დროული და სრულყოფილი აღრიცხვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დაერთოს დანართები,სადაც აღნიშნული იქნება ინფორმაცია კლინიკური მოდულების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
განისაზღვროს რომელ ჰოსპიტალში რომელი კლინიკური მოდულის სწავლება განხორციელდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

VIII. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია კოლეჯის მისია, მისიის აღნიშნული ვარიანტი შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული მისიის შინაარსი განსხვავებულია დოკუმენტში წარმოდგენილისგან.

2.სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში წარმოდგენილ მისიის განაცხადში განსაზღვრულია კოლეჯის პროფილი.

3.დაწესებულების სტრატეგიის დოკუმენტში განსაზღვრულია კოლეჯის ხედვა და ღირებულებები.

4. კოლეჯის ხედვა და ღირებულებები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტრატეგიული გეგმა განიხილა კოლეჯის ადმინისტრაციულმა საბჭომ, რომელშიც შედის კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი. სხვა დაინტერესებული მხარეების (მაგ. პროფესიული სტუდენტი, დამსაქმებელი) ჩართულობა სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებისას არ მომხდარა, აღნიშნული აიხსნა იმით, რომ სტრატეგიული გეგმა შემუშავდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ამოქმედებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შესაბამისობის რეკომენდაცია: კოლეჯის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი, განთავსდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, აღნიშნული კომპონენტის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული გეგმის დოკუმენტით;
- კოლეჯის ვებ-გვერდით;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია,სადაც განსაზღვრულია რას ეფუძნება სტრტაგიული გეგმა, სტრატეგიული მიზნის ჩამოყალიბების კრიტერიუმები, დამტკიცების ეტაპები.

2.სტრატეგიულ გეგმას განიხილავს დაწესებულების ადმინისტრაციულ საბჭო და მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. ადმინიტრაციულ საბჭოში შედიან კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები. სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობა სტრატეგიული დაგეგმარებისას არ არის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება SWOT ანალიზს.

3.სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები,ამოცანები, შესრულების ინდიკატორები და ვადები.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნის შესაბამისი აქტივობები, რესურსები, ვადები, პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა განსაზღვრულია 2021-2022 წელზე. დაწესებულების წარმომადგენელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმები სასწავლო წელზეა მორგებული. სამოქმედო გეგმის ყველა აქტივობაზე შესრულების ვადად განსაზღვრულია 2021-2022 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

განვითარების რეკომენდაცია: სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნებისთვის რეკომენდებულია თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრული იყოს კონკრეტული დროის პერიოდი, როცა იგეგმება შესაბამისი აქტივობა (მაგალითად შესრულების თვე/თვეები). ასევე დაკონკრეტდეს რომელი თვიდან რომელ თვემდე პერიოდს მოიცავს სასწავლო წელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით;
- ინტერვიურებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი დაგეგმილია წელიწადში ერთხელ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეშვეობით.განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში დაშვებულია რიგგარეშე მონიტორინგის ჩატარება. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ევალება დირექტორს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმღვანელს. დაწესებულებამ წარმოადგინა შევსებული ექსელის ფორმები გასული წლების სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ.

2. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული აისახება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში.

3. სამოქმედო გეგმის ანგარიშები არ არის განთავსებული კოლეჯის ვებ-გვერდზე. საიტზე წარმოდგენილია პუნქტი კოლეჯის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ, თუმცა ვიზიტის მომენტისთვის ინფორმაცია (ფაილი) არ არის გამოქვეყნებული.

შესაბამისობის რეკომენდაცია: კოლეჯმა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, აღნიშნული კომპონენტის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული გეგმის დოკუმენტით;
- სამოქმედო გეგმის ანგარიშის ფორმებით;
- ინტერვიურებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- კოლეჯის ვებ-გვერდით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

1. **ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილი არ არის კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა**

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ნორმატიული ბაზა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის შიდა და გარე მობილობის წესით, პროფესიული სტუდენტის შეჩერებით, აღდგენითა და შეწყვეტით, პროფესიული სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მექანიზმებით, მიღებული განათლების აღიარების გზით, რომელიც შესაბამისობაში არ არის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღირების წესთან“, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და განმეორებით შეფასებაზე დაშვების მოთხოვნით, კვალიფიკაციის მინიჭებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებით, წახალისებისა და შედეგების გაუმჯობესების მასტიმულირებელი ღონისძიებებითა და დაწესებულების მიერ შემუშავებული სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტსა (არასრულწლოვნის შემთხვევაში მშობელს/კანონიერ წარმომადგენლს) და კოლეჯს შორის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის მიერ მიღებისათვის დადგენილ ვადებში და აღნიშნულის თაობაზე გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება და დაწესებულებაში ჩარიცხვა არ ხორციელდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შესაბამისად, რომელიც გარდამავალი დებულებით ავალდებულებდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს რეგისტრაციის დაწყებამდე განეხორციელებინათ შესაბამისობა ამ წესის მოთხოვნებთან და ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე მიეწოდებინათ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის.

ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ კოლეჯმა „საექთნო საქმის“ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა განახორციელა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისა და განათლების მართვის სისტემის უფროსის მიერ დამტკიცებული რეიტინგული სიის მიხედვით, თუმცა კოლეჯის მიერ არ გამოცემულა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს:

ა) აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს;

ბ) დოკუმენტების წარდგენის ფორმას;

გ) დოკუმენტების წარდგენის ვადებს;

დ) ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლებს;

ე) ხელშეკრულების გაფორმების პირობებსა და ვადებს;

ვ) სხვა საკითხებს, დაწესებულების გადაწყვეტილებით.

აპლიკანტთა ინფორმირება რეგისტრაციის დაწყების, ტესტირების, დოკუმენტაციის ჩამონათვალისა და წარდგენის ვადების შესახებ განხორციელებულია მხოლოდ კოლეჯის სოციალური ქსელის საშუალებით. ამასთან, დარღვეულია სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების ვადები და აცდენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ შერჩევის პერიოდს (ე.წ. პირველად ჩარიცხვას).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ჩარიცხვის პროცედურა ადაპტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით გაწერილ ვადებთან და მოთხოვნებთან. ამასთან, როგორც საჯარო დოკუმენტი ნათლად იძლეოდეს წარმოდგენას შერჩევის პროცედურების, შერჩევის ალტერნატიული მეთოდებისა და აპელაციის მექანიზმებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, აღნიშნული კომპონენტის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. დაწესებულებამ უზრუნველყოს რეგულაციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამიობა პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს,

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინეტერსების დაცვის მექანიზმები და გაცნობის ფაქტი პროფესიულ სტუდენტთა მიერ ხელმოწერით დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულებით. აღნიშნულ დოკუმენტებს შორის არის გარკვეული უზუსტობები და იწვევს პროფესიულ სტუდენტთა არასწორ ინფორმირებას, კერძოდ: პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულება არ მოიცავს სტატუსის შეჩერების ყველა შესაძლო გარემოებას, ხოლო სასწავლო პროცესის წესით დაშვებულია კოლეჯის რამოდენიმე ერთი და იმავე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის შემთხვევაში შიდა მობილობის უფლებით სარგებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ექსპერტთა ჯგუფმა რანდომული წესით შეისწავლა პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, ასევე კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ექსპერტთა შეფასებით დარღვეულია პროფესიული სტუდენტთა მიერ წარდგენილ განცხადებებზე რეაგირებისა და პროფესიული სტუდენტის შეჩერების უფლებით სარგებლობის ვადები და პროცედურები. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანება ნაცვლად პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადების საფუძვლისა, გამოცემულია პირთა გარკვეულ რაოდენობაზე და არ მოიცავს პირთა მაიდენტიფიცირებელ სრულ ინფორმაციას.

კოლეჯს ჰყავს კოლეგიალური სათათბირო ორგანო - ადმინისტრაციის საბჭო, რომელიც კოლეჯის საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხების გარდა, განიხილავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მიღწეული სწავლის შედეგების რეგრესისა და პროგრესის, მისაღები კონტიგენტისა და სხვა აქტივობების შესახებ საკითხებს, რაც ექსპერტთა შეფასებით აფერხებს პროფესიული სტუდენტის მიერ მოთხოვნილი გარემოების დროულ აღსრულებას და ლახავს მათ კანონიერ უფლებებს.**დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები.**

განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია იმსჯელოს ადმინისტრაციის საბჭოს კომპეტენციაზე და უზრუნველყოს უფლებების სწორი დელეგირება, რაც ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებას ასევე მიეცა რეკომენდაცია, ჩარიცხვის პროცედურა ადაპტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით გაწერილ ვადებთან და მოთხოვნებთან. ამასთან, როგორც საჯარო დოკუმენტი ნათლად იძლეოდეს წარმოდგენას შერჩევის პროცედურების, შერჩევის ალტერნატიული მეთოდებისა და აპელაციის მექანიზმებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

განმავითარებელი რეკომენდაცია: ასევე მობილობის წესში დაზუსტდეს მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების ყველა შესძლო უფლებამოსილება, მათ შორის პროგრამაზე დაშვების წინაპირობისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი, შესაბამისი დონისა და კვალიფიკაციის თავსებადობის გათვალისწინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესის“ შესაბამისად.

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიღებული განათლების აღირების წესი ადაპტირდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღირების წესთან“ და გაიწეროს ფორმალური განათლების აღიარების საფუძველი, ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები, განცხადების წარდგენისა და წარმოების ვადები, კომისიის ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები.

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, განმეორებითი შეფასებისა და შეფასების გასაჩივრების მექანიზმები, რომლის თანახმად პროფესიული სტუდენტის შეფასება და სწავლის შედეგების მიღწევა განსაზღვრულია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დასადასტურებლად დადებითად უნდა შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული/სწავლის შედეგი და ათვისებულ იქნას შესაბამისი მოცულობის კრედიტი. პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას, მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია, სწავლის შედეგში დადასტურებულ იქნას შესრულების კრიტერიუმებში გამოყენებული ინსტრუმენტის (ერთზე მეტი შეფასების ინსტრუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შემთხვევაში ინსტრუმენტების საშუალო არითმეტიკულით), არანაკლებ 75 %-ისა, გარდა ამავე პროგრამის ზოგადი მოდულებისა, რომლის დადასტურებისთვისაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაღვრება 51%-ით. კლინიკური სწავლების მოდულებში საექთნო პროცესისა და საექთნო მანიპულაციების სწავლის შედეგის დასადასტურებლად საჭიროა მასში შემავალი ინსტრუმენტ(ებ)ის არანაკლებ 75% -ნი შეფასება, არანაკლებ 20-ჯერადი მანიპულაციის გათვალისწინებით.

სწავლის შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია განმეორებით დაადასტუროს მოდული/ სწავლის შედეგი მოდულის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო განმეორებით ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შედეგის განმეორებით დადასტურება მომდევნო სემესტრის ან/და წინაპირობის მქონე მოდულის/შედეგის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე (დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დროს). უარყოფითი შეფასების მესამედ მიღების შემთხვევაში, თუ სწავლის შედეგის/მოდულის დადასტურება წარმოადგენს მომდევნო მოდულის წინაპირობას და პროფესიული სტუდენტი ვერ შეძლებს იმ მოდულის/მოდულების გავლას, რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს დაუდასტურებელი მოდული/სწავლის შედეგი, იგი ვალდებულია განმეორებით გაიაროს მოდული და მიიღოს შესაბამისი შეფასება.

დაწესებულება ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს განმეორებითი შეფასებისათვის ჩანიშნული თარიღის შესახებ აცნობოს არაუგვიანეს სწავლი შედეგის/მოდულის დადასტურებამდე ერთი კვირით ადრე.

პროფესიული სტუდენტი, რომელიც ვერ დაადასტურებს სემესტრში შემავალ რომელიმე მოდულს, რომელიც არ წარმოადგენს შემდეგი სემესტრის პროგრამით გათვალისწინებული მოდულ/ებ/ის წინაპირობას, მას ეძლევა შესაძლებლობა მომდევნო სემესტრის მიმდინარეობისას განმეორებით გაიაროს და დაადასტუროს მიუღწეველი სწავლის შედეგი/მოდული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ასევე გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მექანიზმები, რომლის თანახმად პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით დააფიქსიროს პრეტენზია, მისი გაცნობიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და მოითხოვოს:

● წერილობითი ნამუშევრის შემთხვევაში მისი განხილვა და შეფასების შეცვლა;

● პრაქტიკული დავალების/შემთხვევის შესწავლის/სიმულაციის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების შემოწმება;

● ზეპირი შეკითხვების შეფასების ინსტრუმენტად გამოყენების შემთხვევაში, დადგენილი შინაარსითა და მოცულობით შედეგის შეფასების პროცედურის განმეორებას.

პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შემდგომ, შეფასების ინსტრუმენტი და კრიტერიუმების განხილვა ხორციელდება სასწავლო დეპარტამენტის, პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით, თუმცა მონაწილეთა თანხმობით შესაძლებელია მოწვეული იქნას ნეიტრალური პირ(ებ)ი, როგორც პროფესიული სტუდენტის, ასევე დაწესებულების მხრიდან. შეფასებასთან დაკაშირებული პრეტენზიის განხილვის დროს ყველა დაუსაბუთებელი და მტკიცებულებით დაუდასტურებელი გარემოება გადაწყდება პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ. პროფესიული სტუდენტის აპელაციასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი - საჩივრის დაკმაყოფილების ან/და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

განმავითარებელი რეკომენდაცია: ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია იმსჯელოს განმეორებითი შეფასებისათვის დადგენილ ვადებთან დაკავშირებით, ვინაიდან 1 კვირის ვადაში 3-ჯერადი გადაბარება ვერ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტისათვის სწავლის შედეგის ადეკვატურ მიღწევას. ამასთან განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის ვადები ერთმანეთთან უზუსტობაშია და უპრიანია დაწესებულებამ უზრუნველყოს ზემოაღნიშნული მექანიზმების ვადების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შესაბამისობა, რათა პროფესიულ სტუდენტს არ შეეზღუდოს იმ მოდულზე დაშვების უფლება, რომელიც ე.წ. წინაპირობიანი მოდულის შემდეგ ხორციელდება.

განმავითარებელი რეკომენდაცია: პროფესიულ სტუდენტთა გასაჩივრების წესში ასევე გაიწეროს საჩივრის განხილვისა და მასზე რეაგირების ვადები და პროცედურები, კომისიის უფლებამოსილების, ფორმირებისა და საქმიანობის მექანიზმები.

განმავითარებელი რეკომენდაცია: ექსპერტთა მხრიდან ყურადღება გამახვილდა პროფესიულ განათლებაში სემესტრისა და კურსის ცნებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ყურადღება გაამახვილოს პროფესიული განათლების კანონით გაწერილ ტერმინთა განმარტებაზე და შესაბამისობაში მოიყვანოს შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები.

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა,**

ექსპერტთა შეფასებით სწავლის შესახებ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სწავლის პირობები, კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, სწავლის საფასური/დაფინანსებისა და შეღავათების პირობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სადაო საკითხების გადაწყვეტის წესი და სხვა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით **სრულყოფილად არ არის დაცული** პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, რაც გულისხმობს შემდეგს, რომ **პროფესიულ სტუდენტთა მიერ არ არის გამოხატული წერილობითი ნება პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე მესამე პირებზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

და თანხმობა აკადემიური მიღწევებისა და კოლეჯში მათზე დაცული ინფორმაციის მიღების შესახებ, ნებადართულია მხოლოდ პროფესიული სტუდენტის მშობელზე.
განმავითარებელი რეკომენდაცია: მასთან, სასწავლო ხელშეკრულებით სწავლის საფასური მოიცავს დაფინანსების ორივე გარემოებას (საბიუჯეტო/არასაბიუჯეტო) და სასურველია გაიმიჯნოს კონკრეტული მიღების პროფესიული სტუდენტების სწავლების დაფინანსების შესაძლო ალტერნატიული მიდგომები.

კოლეჯის მხრიდან უზურნველყოფილია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, რაც დასტურდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხით. კოლეჯის შინაგანაწესით გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად კოლეჯში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, რაც პროგრამაზე დაშვების წინაპირობის, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა, მოიცავს პირადი (არასრულწლოვანის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) განცხადებას, არასრულწლოვნის შემთვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობის ასლებს.

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-7 მუხლით გაწერილია სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმები, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოყენებული იქნება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით. სსსმ და შშმ პირებისათვის ინდივიდუალური სასაწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება შესაბამისი სპეციალისტების (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი) და სასწავლო დეპარტამენტის ჩართულობით.

ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯში ამ ეტაპზე არ ირიცხება არცერთი სსსმ პროფესიული სტუდენტი და კოლეჯის სტრუქტურა არ მოიცავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის პოზიციას. განმავითარებელი რეკომენდაცია: შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ისგ შემუშავების მექანიზმი შესაბამისობაში მოიყვანოს არსებულ მოცემულობასთან მიმართებაში და დაზუსტდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ალტერნატიული შემთხვევებიც, მათ შორის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის, მობილობის შესაძლო გარემოებები და გაიწეროს არასრულწლოვანის პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის/პროფესიული სტუდენტის ჩართულობა ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის/მიღების დოკუმენტაციით;
- შინაგანაწესით;
- პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოებით (პირადი საქმით);
- სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალებით;
- ინტერვიურებით;
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალით;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

კოლეჯის ზოგადმარეგულირებელი დოკუმენტით გაწერილია სასწავლო დეპარტამენტის ფუნქციები, რომლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულია საგანმანათლებლო საქმიანობის, არსებული სასწავლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელება და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტებთან აქტიურ თანამშრომლობას სწავლების პროცესის სრულყოფისა და მათი პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს ლექცია-მეცადინეობების წარმართვისას კალენდარული გეგმის შესაბამისად და მოდულით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად სტუდენტთა მოზადებას/მზაობის შემოწმებას, საკონტაქტო თუ დამოუკიდებელი მუშაობის საათებში შესრულებული სამუშაოს სწორ შეფასებას, პრაქტიკულ საქმიანობაში დახმარებას, სუსტი მხარეების აღმოჩენასა და დასაბუთებული რეკომენდაციის გაწევას, პროფესიული სტუდენტის მოტივაციის ზრდას. ამასთან, კოლეჯის ერთწლიანი 2021-2022 სამოქმედო გეგმის მიხედვით გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების სერვისის დახვეწა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება, რისთვისაც კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

2. **პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

გამომდინარე იქედან, რომ პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვაზე კონკრეტული პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული არ ჰყავს კოლეჯს, ექსპერტთა მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ კონტიგენტის სიმცირიდან გამომდინარე, დაწესებულების ყველა რგოლი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით შემუშავებულია ელექტრონული (დისტანციური) სწავლების შესაბამისი გზამკვლევი. აღნიშნული მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების ფორმატით განხორციელების შემთხვევაში, რათა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეეწყოს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუირებით, კოლეჯის მხრიდან უზრუნველყოფილია შესაბამისი მხარდაჭერა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით და საკომუნიკაციო წყაროდ გამოყენებულია კოლეჯის ოფიციალური სოციალური ქსელი, თუმცა დაწებეულების მხრიდან არ წარმოდგენილა შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი მტკიცებულებები კვლევის/ანგარიშის სახით.

3. **პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ექსპერტებმა რანდომული წესით შეისწავლეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და სხვა ადმინისტრაციულ წარმოებაზე წერილობითი მიმართვიანობები, რომლითაც დასტურდება რომ კოლეჯი გონივრულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ექსპერტთა შეფასებით დარღვეულია პროფესიული სტუდენტთა მიერ წარდგენილ განცხადებებზე რეაგირებისა და პროფესიული სტუდენტის შეჩერების უფლებით სარგებლობის გონივრული ვადები და პროცედურები. ექსპერტთა მიერ შემოსული კორესპონდენციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტის განცხადება სტატუსის შეჩერების შესახებ დაკმაყოფილებულია 1 თვის შემდეგ. **ამასთან, დარღვეულია სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების ვადები სტატუსის მოპოვებასთან მიმართებაში და აცდენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ჩარიცხვის პერიოდს. შესწავლილი სასწავლო ხელშეკრულებები ნაცვლად მინისტრის მიერ განსაზღვრული ჩარიცხვის ვადებისა (01.10.2021-10.10.2021) დათარიღებულია 2021 წლის 8 ნოემბრით, ხოლო სარეგისტრაციო ჟურნალში დარეგისტრირებულია 2021 წლს 16 დეკემბრით.**

შესაბამისობის რეკომენდაცია: პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს კანონმდებლობით განსაზღრულ ვადებში, სარეგისტრაციო ჟურნალში ხელშეკრულებები გატარდეს ხელმოწერისთანავე.

4. **პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას**

კოლეჯის ერთწლიანი 2021-2022 სამოქმედო გეგმის მიხედვით გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა საგანამანათლებლო, კულტურული, შემეცნებითი ხასიათის პროექტების შემუშავება, თუმცა დაუზუსტებელია წლის რა პერიოდში უზრუნველყოფს დაწესებულება აღნიშნული აქტივობების განხორციელებას და ამასთან, ყურადსაღებია, რომ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი ვიზიტის პერიოდისათვის აღარ იმყოფებოდა კოლეჯთან შრომით ურთიერთობაში. კოლეჯის ღია სივრცეში საჯაროდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

განთავსებულია სამედიცინო მანიპულაციების სიმულაციის დამადასტურებელი ფოტოკოლაჟი, რაც ადასტურებს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას, თუმცა დაწესებულების მხრიდან არ წარმოდგენილა შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი მტკიცებულებები კვლევის/ანგარიშის/უკუკავშირის სახით.

აქედან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია შეიმუშაოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ინიცირების პროცედურას, განხილვის ვადებს და პირობებს, დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, ვადებს, რესურსებსა და ინფორმირების საშუალებებს.

5. **პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას**

კოლეჯის ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაწესებულებაში სწავლა/სწავლებისა და მისი საქმიანობის მუდმივი მონიტორინგის, კვლევისა და შეფასების ანალიზით უზრუნველყოფს არსებული პროცესების ხარისხის გაუმჯობესებასა და ამაღლებას. ზრუნავს სწავლისა და სწავლების დონის ხარისხის შეფასების თანამედროვე მეთოდების მოძიებაზე, ადაპტირებასა და იმპლემენტაციაზე, განათლების ხარისხთან, მისი გაუმჯობესების მექანიზმებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება-გაანალიზებასა და შედეგების გამოყენებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ახორციელებს ხარისხის შიდა შეფასებას, აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა, პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის ანონიმურ ან/და ღია გამოკითხვებს, ლექციებზე დასწრებას - პრაქტიკული მეცადინეობების მიმდინარეობის მონიტორინგს და დადასტურების (შეფასების) პროცესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მეთოდოლოგიის თანახმად, კითხვარები არ არის ადაპტირებული დღევადელ შრომის ბაზრის მოცემულობასთან, შესაბამისად დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია კითხვარები იყოს კვლევის მიზნის რელევანტური, გაიწეროს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, კვლევის ჩატარების პერიოდები, ძირითადი პარამეტრები, რაც მოკვლეული იქნება აღნიშნული გამოკითხვების შედეგად და მიღებული მონაცემები უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- ინტერვიურებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით;
- ზოგადმარეგულირებელი წესების კრებულით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

☒ არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის

ვიზიტის დროს, ექსპერტების მხრიდან შედგა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება. პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ კოლეჯი, ადმინისტრაციის ყველა რგოლისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით პირისპირ, ელექტრონული ფოსტის, კოლეჯის სოციალური ქსელის მეშვეობით უზრუნველყოფს კარიერული მხარდაჭერის მომსახურებას. აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ვერ განხორციელდა კოლეჯის მხრიდან მტკიცებულებების წარმოუდგენლობის გამო, თუმცა პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ კოლეჯის მხარდაჭერით მოპოვებული აქვთ სწავლების დაფინანსება ევექსის კორპორაციის მიერ და სამომავლოდ სტაჟირების გავლას შეძლებენ ევექსისა და გერმანიის ქალაქ პირმასენის კლინიკებში.

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ექსპერტთა მიერ ჩატარებული გამოკითხვის შეფასებით დაწესებულებაში არსებობს მექანიზმები კარიერული განვითარებისთვის. ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროგრამის განმახროციელებლებთან კოორდინირებით, მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. შესაბამისი პირების მიერ ხორციელდება დასაქმების მსურველი სტუდენტების და კურსდამთავრებულების ინფორმირება და გაიცემა რეკომენდაციები დასაქმების მსურველ პროფესიულ სტუდენტებზე მათი აკადემიური მიღწევების შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთვრებულთა კვლევის მეთოდოლოგიით, კურსდამთვარებულთა კითხვარი მწირია და არ არის კვლევის რელევანტური. მეთოდოლოგიის მიხედვით, წელიწადში ერთხელ ხარისხის მართვის სამსახური ატარებს კურსდამთავრებულების და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვას, რომლის მიზანიცაა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მათი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 6 თვის/ერთი წლის შემდეგ, თუმცა დაწებულების მხრიდან არ წარმოდგენილა შესაბამისი კვლევა/ანგარიში მტკიცებულების სახით და ექსპერტთა მხრიდან ვერ შეფასდა აღნიშნული ინდიკატორი. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ მათი ძირითადი მიმართვიანობა უკავშირდება განმეორებით შედეგის დადასტურების ადმინისტირების საკითხს და მოდულის ფარგლებში გაცდენების ზღვრული რაოდენობის კონტროლს.

3. **პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთვრებულთა კვლევის მეთოდოლოგიით, კურსდამთვარებულთა კითხვარი არ არის კვლევის და მიზნის რელევანტური. მეთოდოლოგიის მიხედვით, წელიწადში ერთხელ ხარისხის მართვის სამსახური ატარებს კურსდამთავრებულების და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვას, რომლის მიზანიცაა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მათი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 6 თვის/ერთი წლის შემდეგ, თუმცა დაწებულების მხრიდან არ წარმოდგენილა შესაბამისი კვლევა/ანგარიში მტკიცებულების სახით. **შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია გაწეროს თუ რა მექანიზმებით მოხდება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინფორმირება არსებული ვაკანსიების შესახებ და ვინ იქნება პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი, განსაზღვროს კვლევის ჩატარების პერიოდ(ებ)ი, ძირითადი პარამეტრები, რაც მოკვლეული იქნება აღნიშნული გამოკითხვების შედეგად. კვლევების შედეგად დაფარულ იქნას ისეთი პარამეტრები, როგორიცაა, დასაქმდა თუ არა კურსდამთავრებული, დასაქმდა თუ არა იმ სპეციალობით რაც დაამთავრა, კმაყოფილია თუ არა დაწესებულებაში შეძენილი უნარებით, იყენებს თუ არა მათ სამუშაო პროცესში და ა.შ. ამ მიზნისთვის სასურველია დაწესებულება აწარმოებდეს და მუდმივად ანახლებდეს კურსდამთავრებულთა ბაზას.**

4. **კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს**

კოლეჯის ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაწესებულებაში სწავლა-სწავლებისა და მისი საქმიანობის მუდმივი მონიტორინგის, კვლევისა და შეფასების ანალიზით უზრუნველყოფს არსებული პროცესების ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

გაუმჯობესებასა და ამაღლებას. ზრუნავს სწავლისა და სწავლების დონის ხარისხის შეფასების თანამედროვე მეთოდების მოძიებას, ადაპტირებასა და იმპლემენტაციაზე; განათლების ხარისხთან, მისი გაუმჯობესების მექანიზმებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება-გაანალიზებასა და შედეგების გამოყენებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ახორციელებს ხარისხის შიდა შეფასებას, აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა, პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის ანონიმურ ან/და ღია გამოკითხვას, ლექციაზე დასწრებას - პრაქტიკული მეცადინეობების მიმდინარეობასა და დადასტურების (შეფასების) პროცესზე მონიტორინგს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, გარე ფაქტორების გათვალისწინებით შეიმუშავებს, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც გულისხმობს მისი საქმიანობის ციკლით, „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ - წარმართვას.

ექსპერტთა შეფასებით, **პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მეთოდოლოგიის თანახმად, კითხვარები არ იძლევა ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის უწყვეტი ციკლის შეფასებას. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია კითხვარები იყოს კვლევის მიზნის რელევანტური, გაიწეროს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, კვლევის ჩატარების პერიოდები, ძირითადი პარამეტრები, რაც მოკვლეული იქნება აღნიშნული გამოკითხვების შედეგად და მიღებული მონაცემები უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას. დაწესებულება სასურველია აკეთებდეს კვლევებიდან მიღებული მონაცემების ანალიზს და პროცესების გაუმჯობესების მიზნით რეაგირებდეს მათზე სათანადოდ.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- ინტერვიურებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით;
- ზოგადმარეგულირებელი წესების კრებულით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. თანამდებობრივ ისნტრუქციებში განსაზღვრულია მიზნები და ამოცანები და სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები.

2. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა გადანაწილებული, რომ ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი) გაწერილია კოლეჯის ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულში. მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. ვიზიტის მომენტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ხელმძღვანელის ფუნქციებს ითავსებდა კოლეჯის იურისტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურიდან განთავისუფლების გამო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- თანამდებობრივი ინსტრუქციებით/საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

1.დაწესებულებას შემუშავბეული აქვს შინაგანაწესი.
ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს არსებით პირობებს. განსაზღვრულია სამუშაოს შესრულების ადგილი, სამუშაო დრო, შვებულების აღების წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი.
შინაგანაწესით სამუშაო საათები განსაზღვრულია 9 საათიდან 18 საათამდე, ხოლო შრომით ხელშეკრულებებში სამუშაო საათებად განსაზღვრულია 10 საათიდან 17 საათამდე დრო.
პერსონალთან დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა პერსონალის მიერ შინაგანაწესის გაცნობა. ასევე შინაგანაწესი არ არის განთავსებული კოლეჯის ვებ-გვერდზე, რომ შესაძლებელი იყოს პერსონალისთვის მისი ამ ფორმით გაცნობა. შინაგანაწესში არ არის ასახული დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები.
კოლეჯის შიდა რეგულაციები არ არის შესაბამისობაში მთავრობის დადგენილებასთან „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. თანამშრომლების მხოლოდ ნაწილს აქვს წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა.

2. ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულით განსაზღვრულია, რომ გადაწყვეტილებები პერსონალის სამსახურში მიღებისა და განთავისუფლების, მათთან შრომითი ხელშეკრულების დადების და მოშლის შესახებ მიიღება კოლეჯის დირექტორის მიერ. ყველა კატეგორიის პერსონალის (პედაგოგიური, ადმინისტრაციული, დამხმარე) ვაკანსიაზე დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანისა და გათავისუფლებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგებაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოების სამსახური. დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული პროცედურები, როგორ ხდება პერსონალის სამსახურში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

აყვანა. ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში, ხდება კანდიდატთან დირექტორის გასაუბრება.

3. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ყველა პერსონალის კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კერძოდ, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციაზე მოთხოვნილია 5 წლიანი გამოცდილება, აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირის პირადი საქმით არ დასტურდება შესაბამისი კვალიფიკაცია. პოზიციების უმრავლესობაზე საკვალიფკაციო მოთხოვნებში განსაზღვრულია ინგლისური ენის B1 დონეზე ფლობა, უმეტეს მათგანს პირადი საქმეებით არ უდასტურდება შესაბამისი ცოდნა.

4. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულებაში მოქმედებს ადმინისტრაციული საბჭო, სადაც ხდება კოლეჯში მიმდინარე საკითხების განხილვა.

შესაბამისობის რეკომენდაცია:

1.შინაგანაწესი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს შრომის კოდექსთან და მასში აისახოს დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები, დაწესებულებამ უზრუნველყოს ცვლილებების გაცნობა კოლეჯის პერსონალისთვის. რეგულაციები მოვიდეს შესაბამისობაში მთავრობის დადგენილებასთან „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“.

2.პერსონალის მოზიდვა-შერჩევის პროცესი უნდა არეგულირებდეს სამუშაოზე აყვანის გამჭირვალე და გაწერილ პროცედურას, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს კვალიფიციური და შესატყვისი კადრების მოზიდვას და შერჩევას; პერსონალის შერჩევის პროცედურა უნდა იყოს მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე.

3.დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი მტკიცებულებების განთავსება პერსონალის პირად საქმეში.

განვითარების რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შინაგანაწესის და შრომითი ხელშეკრულების ჩანაწერები სამუშაო საათების შესახებ მოვიდეს შესაბამისობაში. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც 2022 წლის 21 სექტემბრამდე მოახდენს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დოკუმენტაციის რევიზირებას და განახლებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- პერსონალის პირადი საქმეებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პერსონალის საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევის ინსტრუმენტები. კოლეჯი ახორციელებს მხოლოდ პროფესიული მასწავლებლების შეფასებას პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის გზით.

2.სტრატეგიული გეგმით ყოველწლიურად განსაზღვრულია ადამიანური რესურსების გაძლიერება/ განვითარება/სტიმულირება,პროფესიული განთლების მასწავლებლების საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული პერსონალის განვითარების გეგმა ან შესაბამისი ტრენინგების ჩატარების მტკიცებულებები დაწესებულებას არ წარმოუდგენია.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობას სხვადასხვა ინსტიტუციების მიერ დაგეგმილ ტრენინგებზე.

4. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5.დაწესებულების პერსონალთან და დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ კოლეჯი ხელს უწყობს პერსონალის ჩართვას ტრენინგებში, თუ ისინი მიმართავენ დირექტორს შესაბამისი ინიციატივით, ასევე უზრუნველყოფენ თანამშრომლების მონაწილეობას სხვადასხვა ინსტიტუციების მიერ დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებზე, როგორიცაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და სხვა.

შესაბამისობის რეკომენდაცია:

დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასების მექანიზმები. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მექანიზმი იყოს გამჭირვალე, მკაფიო და ნათელი. დადგენილი წესი და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პერსონალისთვის. ზემოაღნიშნულ მექანიზმში განსაზღვრული უნდა იყოს: შეფასების სახე, შეფასების პერიოდი, შემფასებელი/შემფასებლები და სხვა. შემფასებელი/შემფასებლები განისაზღვრება პერსონალის ფუნქციებიდან გამომდინარე. ეს შესაძლოა იყოს: შესაბამისი სტრუქტურული პირი/პირები, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სხვა.

პერსონალის საქმიანობის შეფასება უნდა ატარებდეს ფორმალურ და სისტემატურ ხასიათს. თანამშრომელთა საქმიანობის და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი უნდა მოხდეს დაწესებულების მიერ წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში. დაწესებულება უნდა ახდენდეს მონიტორინგის შედეგების ანალიზს, რის შედეგებსაც უნდა იყენებდეს პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის.

ასევე გაიწეროს მექანიზმი, თუ როგორ ახდენს დაწესებულება ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და მათ ეფექტურად ჩართვას სამუშაო პროცესში.

ზემოაღნიშნულ მექანიზმში ასახული უნდა იყოს პირი/პირები, რომლებიც ჩართულები იქნებიან ინტეგრაციის პროცესში.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, აღნიშნული კომპონენტის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერვიუებით;
- პროფესიული მასწავლებლის შეფასების კითხვარით;
- სტრატეგიული გეგმით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულება იჯარის ხელშეკრულებით ფლობს წერეთლის N121-ში მდებარე 1255 კვ.მ. ფართს, იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, დაწესებულებამ წარმოადგინა მეიჯარესთან გაფორმებული შეთანხმება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

რომლის მიხედვითაც იჯარის ხელშეკრულების ვადა განსაზღვრულია 2028 წლის 1 იანვრის ჩათვლით. აღნიშნული შეთანხმება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მეიჯარე არ იმყოფებოდა საქართველოში, რის გამოც ვერ შეძლეს ვიზიტის მომენტამდე ხელშეკრულების რეესტრში დაფიქსირება, ხელშეკრულების შეთანხმება გაფორმებულია 2022 წლის 15 აპრილს. დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს ქვეიჯარის ხელშეკრულება შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტთან“, ხელშეკრულების თანახმად ქვემოიჯარე კოლეჯის სარგებლობაში არსებული 1255 კვ.მ. ფართიდან ისარგებლებს 317.28 კვ.მ ფართით (N4,6,8,9,10,11,13 ოთახებით-2016 წლის 10 ოქტომბრის ხელშეკრულება), ხოლო N15,N18,N21 ოთახებით ისარგებლებს ორივე მხარე, სასწავლო პროცესის ცხრილის შესაბამისად, 2016 წლის 15 ოქტომბრის შეთანხმების მიხედვით კოლეჯი უნივერსიტეტს ხელშეკრულების ვადით აძლევს შემდეგი ოთახებით სარგებლობის უფლებას N1,2,3,5,7,17,20,22,23. ქვეიჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2016 წელს და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული ქვეიჯარა არ არის დაფიქსირებული საჯარო რეესტრის ამონაწერში. დაწესებულების სარგებლობაში არსებულ ფართში განთავსებულია A, AC ტიპის აუდიტორიები, 1 B ტიპის გარემო,1 C გარემო, ბიბლიოთეკა, ოთახები ადმინისტრაციისთვის, სასერვერო სივრცე, სველი წერტილები, სივრცე პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, სამკითხველო. სამკითხველოში განთავსებულია კარადები არქივისთვის. კოლეჯის სასწავლო ფართში ასევე არის კვების ობიექტისთვის გამოყოფილი სივრცე, რომელიც ქვეიჯარით არის გადაცემული იურიდიული პირისთვის, ვიზიტის პერიოდში კვების ობიექტი არ ფუნქციონირებდა. (იხილეთ დანართი 2 და დანართი 3)

2.დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსის გამოყენების წესები, რომელიც არეგულირებს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საინფორმაციო საშუალებების, ბიბლიოთეკისა და სხვა სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესს. კოლეჯის მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია ანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, დაწესებულებას ჰყავს დამლაგებელი, რომელიც პასუხისმგებელია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

4.კოლეჯის სასწავლო ფართი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

5.დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, რომლის თანახმადაც კოლეჯის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი არ ჰყავდა. ინტერვიუსას დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯის დამფუძნებელ დავით ტვილდიანის უნივერსიტეტს ემსახურება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ხელშეკრულება ავალდებულებს კოლეჯსაც გაუწიოს მომსახურეობა, თუმცა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ აღნიშნული ხელშეკრულება ვერ წარმოადგინა.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები; კოლეჯის მატერიალური რესურსის გამოყენების წესები ითვალისიწინებს მატერიალური რესურსის განკარგვის წესს, მათ შორის მატერიალური რესურსის შესყიდვის პროცედურას.

7. მატერიალური რესურსის შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსის გამოყენების წესებით, აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია რესურსების შეფასების პერიოდი, ჩართული პირები და შეფასების ფორმა.

8. კოლეჯის სასწავლო ფართში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10.სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ვიზიტის მომენტისთვის გამოკრული არ იყო თვალსაჩინო ადგილზე, ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი (წიგნები, ელექტრონული მატარებლები) დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში შესაძლოა არსებობს როგორც საბარათე კატალოგები, ისე ელექტრონული კატალოგი (open biblio). დაწესებულება ფლობს როგორც ქართულენოვან, ასევე უცხოურ ლიტერატურას.

შესაბამისობის რეკომენაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურება.

განვითარების რეკომენდაცია: იჯარის ხელშეკრულების შეთანხმება და ქვეიჯარის ხელშეკრულება დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოეკრას თვალსაჩინო ადგილზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც 2022 წლის 30 ივნისამდე უზრუნვეყოფს შრომის უსაფრთხოების სერთიფიცირებული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- იჯარის ხელშეკრულებით და საჯარო რეესტრის ამონაწერით (საკადასტრო კოდი 01.13.06.001.010)
- იჯარის ხელშეკრულებაზე შეთანხმებით;
- ქვეიჯარის ხელშეკრულებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- სასაქონლო ზედნადებებით;
- შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით;
- მატერიალური რესურსის გამოყენების წესებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულებით;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო ჟურნალებით და კატალოგებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შესყიდვის აქტებით;
- ინტერვიურებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

1.დაწესებულებას აქვს საგანგებო სიტაუციების მართვის სააგენტოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.აღნიშნული მიწერილობის საფუძველზე განხორციელებული აქვს შესაბამისი აქტივობები ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

2.დაწესებულებას შემუშავებული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ჰყავს მედდა.პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული ის ტელეფონის ნომრები, რომლეზეც უნდა მოხდეს დაკავშირება პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში.

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის-დირექტორის ბრძანებით. შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი და განაწილებული ფუნქციები. აღნიშნული დოკუმენტი ვიზიტის პერიოდში გაიგზავნა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შესათანხმებლად.

4.დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს წესრიგის დაცვის მექანიზმებს. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება დაცვის ობიექტთან. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა.იმ სივრცეში, სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი, განთავსებულია გამაფრთხილებელი წარწერები აღნიშნულის თაობაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანგებო სიტაუციების მართვის სააგენტოს დასკვნით შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით და შესათანმხებლად გაგზავნი კორესპონდენციით;
- დაცვის სამსახურთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებით;
- დამონტაჟებული ვიდეო-სათვალთვალო სისტემით;
- პირველი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით;
- მედდის პირადი საქმით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შინაგანაწესით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას აქვს სასწავლო პროცესისა და ადმინიტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დადასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით და ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებით. კოლეჯს აქვს სერვერი, 33 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი B ტიპის გარემო, ასევე სასწავლო მიზნებისთვის პროფესიული მასწავლებლების მიერ სარგებლობის მიზნით კომპიუტერები განლაგებულია A ტიპის გარემოში, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებს და სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებით. 7 კომპიუტერი განკუთვნილია ადმინისტრაციისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულება აქვს გაფორმებული IT სპეციალისტთან, რომელმაც ინტერვიუსას აღნიშნა, რომ რეგულარულად აფასებს IT ინფრასტრუქტურის მდგომარეობას, ამოწმებს როგორც ტექნიკურ გამორთულობას,ასევე პროგრამულ მხარეს. კომპიუტერების დაცვის მიზნით გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული B გარემოში განთავსებულ კომპიუტერებზე.

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან. აღნიშნული წესი პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ საფუძვლად განსაზღვრავს მონაცემთა სუბიექტის თანხმობას. დაწესებულებას არ აქვს მოპოვებული თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე არც პროფესიული სტუდენტებისგან და არც პერსონალისგან.

4.დაწესებულების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემას არ გააჩნია შესაბამისი მექანიზმები, რომელიც შეაფასებს ინფორმაციის ტექნოლოგიების ფიზიკურ ინფრასტრუქტურას და პროცესების ეფექტიანობას.

5.პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, რაც რეგულირდება კოლეჯის მატერიალური რესურსების განკარგვის წესებით.

6. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემით. დაწესებულებას შესყიდული აქვს ელექტრონული სისტემა, რომელშიდაც ჩართულია კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები. სისტემა მუშაობს სატეტსო რეჟიმში.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ მოიპოვოს თანხმობა პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისგან პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

დაწესებულებამ შეიმუშავოს შიდა ხარისხის უზრუნვეყოფის მექანიზმები, რომელიც შეაფასებს როგორც ინფორმაციის ტექნოლოგიების ფიზიკურ ინფრასტრუქტურას,ასევე პროცესების ეფექტიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, აღნიშნული კომპონენტის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესყიდვის აქტებით;
- მომსახურების ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიურებით;
- ხარისხის მართვის მექანიზმებით;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმებით;
- პერსონალის და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით;
- მატერიალური რესურსების განკარგვის წესებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის დოკუმენტაციის სახეებს, დოკუმენტაციის აღრიცხვის წესს, დოკუმენტაციისადმი განსაზღვრულ მოთხოვნებს. დაწესებულებაში მიმდინარეობს აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები არის დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ ბრძანებებში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად არ არის განსაზღვრულბრძანების რეკვიზიტები, კერძოდ: მითითებები იმის შესახებ, თუ კონკრეტულად ვინ უნდა შეასრულოს, რა სახის კონკრეტული მოქმედებები უნდა შესრულდეს და რა ვადებში უნდა განახორციელდეს იგი. წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა. (იხილეთ დანართი 4 და დანართი 6).

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ მარეგულირებელ დოკუმენტებზე არ არის წარმოდგენილი რომელ თარიღშია გამოცემული და რომელი ნომერი ბრძანებით მოხდა დოკუმენტის დამტკიცება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.დაწესებულებას შესყიდული აქვს მომსახურება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის შესაქმნელად. შესყიდვა გახორციელებულია 2019 წელს, ხელშეკრულების მოქმდების ვადაა 2 წელი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით აღნიშნულ სისტემას აქვს ხარვეზები, რის გამოც დღემდე არ იყენებენ ელექტრონულ საქმისწარმოებას და მუშაობენ მომწოდებელთან სისტემის დახვეწაზე.

3.დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

4. დაწესებულება დროულად არ აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს. კერძოდ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების 28-ე მუხლის 9-ე პუნქტის თანახმად საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი იყვნენ რეგისტრაციის დაწყებამდე უზრუნველეყოთ შესაბამისობა ამ წესის მოთხოვნებთან და ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე მიეწოდებინათ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის. დაწესებულებას შიდა მარეგულირებელი აქტები არ აქვს მოყვანილი აღნიშნულ ბრძანებასთან, შესაბამისად არც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის მიუწოდებია ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს საქმისწარმოების კანონმდებლობასთან შესაბამისობა (საქართველოს პრეზიდენტის N414 ბრძანებულება „საქმისწარმოების ერთიანი წესები“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი).

დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დაწესებულებამ გონივრულ ვადებში ასახოს შიდა მარეგულირებელ აქტებში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი უწყებების ინფორმირება.
დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც 2022 წლის 31 დეკემბრამდე დანერგავს ელექტრონულ საქმისწარმოებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

საქმისწარმოების წესით;

- წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტებით და ბრძანებებით;
- მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებით;
- ინტერვიურებით;
- ბრძანებების და კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯს აქვს ვებ-გვერდი http://college.dtmu.ge/ka/ . კოლეჯის ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელში სიახლეები ბოლოს განთავსებულია 2021 წლის ნოემბერში. კოლეჯის ვებ-გვერდზე არ არის განახლებული კოლეჯის მისია, რომელიც 2018 წლის სტრატეგიულ დოკუმენტშია განსაზღვრული. ასევე საიტზე განთავსებულია 2016-22 წლების სტრატეგიული გეგმა, ნაცვლად 2018-25 წლის სტრატეგიული გეგმისა. კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას,თუმცა არ ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

2. დაწესებულების მისიაში არაა განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

3.დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ 2019 წლისთვის მოქმედი ვერსია, დოკუმენტში არ არის ასახული შესაბამის ჩარჩო დოკუმენტში განხორციელებული ცვლილებები მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ.

4.დაწესებულების ვებ-გვერდს აქვს მენიუ „საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი“, სადაც მოცემულია ბაზა სასწავლო წლების მიხედვით, 2016 წლიდან 2019 წლამდე, თუმცა არც ერთი ფაილი არ იხსნება.

5.2019 წლის შემდეგ კატალოგი არ არის განახლებული/განთავსებული.

6.დაწესებულების მიერ შემუშავებულია რეგულაცია „საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია“, დოკუმენტის მიხედვით კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირი საბოლოოდ ასახვას ჰპოვებს დაწესებულების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში.

შესაბამისობის რეკომენდაცია: პროგრამასა და რეგულაციებში ასახული ცვლილებები გონივრულ ვადაში განახლდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე.

რეგულარულად (ყოველწლიურად ან განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად) განახლდეს და კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსდეს კატალოგი.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, აღნიშნული კომპონენტის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის ვებ-გვერდით;
- კოლეჯის სოციალური ქსელით -https://www.facebook.com/DTMU-Public-Nursing-College-%E1%83%93%E1%83%A2%E1%83%A1%E1%83%A3-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%97%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%AF%E1%83%98-1519102251738923

- მარეგულირებელი დოკუმენტით: „საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია“;
- დომენის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციით;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულება ფინანსდება პროფესიული სტუდენტების სწავლის გადასახადი/ვაუჩერით და დამფუძნებლების შემოწირულობით. დაწესებულების ფინანსური მენეჯერის განმარტებით და წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით პროფესიული სტუდენტების სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება ვერ უზრუნველყოფს კოლეჯის ხარჯების სრულად დაფარვას, შესაბამისად საჭირო თანხების (ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსის) უზრუნველყოფას ახდენს დამფუძნებელი.

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

3.კოლეჯი წარმოადგენს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის შვილობილ კომპანიას, შესაბამისად დაწესებულების ფინანსური აუდიტი ჩატარებულია უნივერსიტეტის აუდიტთან ერთად და მოხვედრილია ერთიან კონსოლიდირებულ ანგარიშში. დაწესებულება ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე ანთავსებს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს.

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წარმოდგენილი ანგარიშებით;
- პორტალზე განთავსებული აუდიტის დასკვნით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- ინტერვიურებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ.N121
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ინფორმაცია კოლეჯის პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესახებ ვიზიტის პერიოდში:

აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	34
სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდნეტების რაოდენობა	37

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კოლეჯი მონაწილეობდა ევროსაბჭოს რეგულაციების გათვალისიწნებით შედგენილი „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტის პილოტირებაში. ვინაიდან აღნიშნულის შემუშავებამდე კოლეჯს გააჩნდა „პრაქტიკოსი ექთნის“ განხორციელების გამოცდილება, არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით გადაწყვიტა განეხორციელებინა მოდიფიცირებული პროგრამა „საექთნო საქმე“. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მისიაა, მოამზადოს ექთნები, რომლებიც შეძლებენ გაუმჯობესონ ადამიანების სიცოცხლის ხარისხი, მიუხედავად მათი სქესისა, ეთნიკური კუთვნილებისა და რელიგიური მრწამსისა.

2. დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულია, რომ V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - პრაქტიკოსი ექთანი და საექთნო განათლება -სწავლის უფლების მოპოვება, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტისა და პროფესიული სტანდარტის გათვალისწინებით, შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი განათლება (მისი დამადასტურებელი დოკუმენტი) და ჩააბარებს კოლეჯის მიერ ინიცირებულ პროფესიულ გამოცდას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ასევე განსაზღვრულია ტესტის კითხვების რაოდენობა და განსაზღვრულია ბარიერი. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული რეგულაცია არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებასთან. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, დაწესებულება უფლებამოსილია გათვალისწინებული შეფასების გარდა, დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შეფასების დამატებითი მექანიზმები, რომელიც არეგულირებს:

შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირებას; შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს; შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს; აპელაციის წესსა და ვადებს; აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს; 2021 წლის მიღებაზე დაწესებულებას პროფესიული სტუდენტები ჩარიცხული ჰყავს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე.

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6.პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი განსაზღვრულია კოლეჯის ზოგადმარეგულირებელი დოკუმენტების კრებულით. პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის-დირექტორის ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8.დაწესებულებას პროგრამაში შეტანილი აქვს ცვლილება 2021 წლის 15 სექტემბერს, ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილების შესაბამისად. განახლებულია პროგრამა, თუმცა არ არის ცვლილებები ასახული პროგრამის დანართებში (პროფესიულ მოდულებში). რიგ პროფესიულ მოდულებში დაშვების წინაპირობები არ არის შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტის მოქმედ რედაქციასთან.

შესაბამისობის რეკომენდაციები:

დაწესებულებამ უზრუნველყოს კოლეჯის მარეგულირებელი აქტების შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებასთან.

დაწესებულებამ უზრუნვეყოფს პროფესიული პროგრამის დანართების (მოდულების) მოქმედ ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისიით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- კოლეჯის ზოგადმარეგულირებელი დოკუმენტების კრებულით;
- პროგრამის დამტკიცების აქტით;
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- პროფესიული პროგრამით და მოდულებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროგრამაზე პროფესიული სტუდნეტების ჩარიცხვის აქტებით;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შედგენილი რეიტინგული სიებით;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულება წერეთლის გამზირზე N121 მდებარე სასწავლო ფართში ახორციელებს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, რისთვისაც აქვს 1 B ტიპის აუდიტორია (33 პროფესიულ სტუდენტზე), 12 A ტიპის აუდიტორია. შინმოვლის და ავადმყოფის მოვლის მოდულების განხორციელებისთვის აქვს C ტიპის გარემო, C გარემოში არის 1 მოზრდილი მულტიფუნქციური რიტმული სიმულატორით და 1 ჩვილის მენეკენი, 1 BLS ტორსი, 1 ინტრავენური კათეტერიზაციის მულაჯი (ხელი), გორგოლაჭებიანი სავარძელი, ყავარჯნები, თეთრეულის ნაკრები, მულტიფუნქციური საწოლი, პაციენტის ტუმბო რომელიც არსებული ინვენტარი სავსებით საკმარისია შინმოვლის და ავადმოვლის მოდულის განხორციელებისთვის. აღსანიშნავია, რომ A ტიპის გარემო ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ასევე გამოიყენება დავით ტვილდიანის უნივერსიტეტის მიერ. (იხილეთ 5.1.1 ქვესტანდარტი). კლინიკური მოდულების სწავლებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება/მემორანდუმი კორპორაცია ევექსთან და ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 27-ს (თეორია და პრაქტიკა).

3. დაწესებულებას სხვადასხვა მარეგულირებელ აქტებში განსხვავებულად აქვს განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კერძოდ დოკუმენტით „თანამდებობრივი ინსტრუქცია/საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ განსაზღვრულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ბებია-ქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება ან შესაბამისი სფეროს უმაღლესი/პროფესიული განათლება, ასევე საექთნო/შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება, მენტორობის/სწავლების გამოცდილება, სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება. კოლეჯის ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულით პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განმახორციელებელი (საქართველოს საკონონმდებლო აქტების თანახმად) პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი ან პროფესიული სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელსაც (კლინიკური სწავლების მიზნებისთვის) აქვს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლით განმახორციელებელი პერსონალის უმრავლესობის კვალიფიკაციის შესაბამისობა დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ვერ დგინდება. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის განმახორციელებელ მხოლოდ 2 პირს.

4.დაწესებულებას არ ჰყავს განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიუსას განმარტა, რომ ვინაიდან კოლეჯი ახორციელებს მხოლოდ ერთ პროგრამას დაწესებულებას ცალკე პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია არ აქვს განსაზღვრული, აღნიშნულს ითავსებს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. იგი ადგენს და დირექტორს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასამტკიცებლად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამას, სასწავლო კურსის პროგრამის ჩარჩო ფორმას და აუცილებელ მოთხოვნებს; შეიმუშავებს და წარუდგენს სასწავლო გეგმებს/ცხრილებს; ამზადებს წინადადებებსა და პროექტებს სასწავლო საქმიანობის გაუმჯობესების თაობაზე; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ამოწმებს სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობასა და შესაბამისობას. აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებულ პირს აქვს დარგობრივი კომპეტენცია.

5. ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი. მათი უმრავლესი ნაწილი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში მატერიალური ან ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულებამ წარმოადგინა ქართულად ნათარგმნი სასწავლო მასალა, თუმცა ვინაიდან მათში არ არის მითითებული პირველწყარო ვერ ხერხდება იდენტიფიკაცია, რომელი წიგნიდანაა ნათარგმნი, ასევე მოდულში „ინფექციის კონტროლის საფუძვლები“ მითითებული ყველა ლიტერატურის მოძიება ვერ ხერხდება, ვერც ელექტრონულ კატალოგში და ვერც მატერიალურ მატარებელზე, კერძოდ მოდული - „ინფექციის კონტროლის საფუძვლები“ სასწავლო რესურსი - Good practice in infection prevention and control.

6. დაწესებულების სასწავლო გარემო იძლევა შესაძლებლობას სსს მქონე პირებმა ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით,დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. დაწესებულების სასწავლო გარემო ადაპტირებულია სსს მქონე პირებისთვის.

დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული როგორ უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას - საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

7.დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი. კოლეჯის ფინანსისტთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტების გადინების გამო, წინა წლების მაჩვენებლებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პროფესიული სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის გადასახადი/ვაუჩერი ვერ ფარავს პროგრამის განხორციელების ხარჯებს, აღნიშნული სხვაობა იფარება კოლეჯის დამფუძნებლების მიერ.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ ნათლად განსაზღვროს და სხვადასხვა რეგულაციებში შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტის განთავსება.
უზრუნველყოს მოდულებში განსაზღვრული ყველა სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში მატერიალური ან ელექტრონული სახით.
განვითარების რეკომენდაცია: შემუშავდეს რეგულაცია, სადაც განისაზღვრება საჭიროების შემთხვევაში თუ ვის მიერ და როგორ მოხდება რესურსების ცვლილება, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება.
გამიჯნოს პროგრამის ხელმძღვანელის და სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. რეგულაციაში ან/და ხელშეკრულებით განსაზღვროს ვინ ითავსებს პროგრამის ხელმძღვანელი ფუნქციებს.
დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც 2022 წლის 21 სექტემბრამდე დაწესებულება უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დოკუმენტაციის რევიზირებას და განახლებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- იჯარის და ქვეიჯარის ხელშეკრულებებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- შესყიდვის აქტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულით;
- ინტერვიურებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების ხარისხის მართვის მექანიზმი ითვალისწინებს სასწავლო პროცესის შეფასებას.შეფასების მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. აღნიშნულის განსახორციელებლად ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს გამოკითხვას, რისთვისაც იყენებს პირისპირ ინტერვიუს ან კითხვარების ფორმებს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით); ასევე შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მუშაობის თუ სწავლების ხარისხის შეფასება პროცესზე დაკვირვების მეთოდით; აღნიშნულ რეგულაციას თან ახლავს კითხვარის ნიმუშები. წარმოდგენილი კურსდამთავრებულის, დასაქმებული კურსდამთავრებულის ან სტუდენტის და დამსაქმებლის კითხვარები 1,2 ან სამკითხვიანი. აღნიშნული არ იძლევა სრულყოფილი და პრობლემის გასაანალიზებლად საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარები, ასევე წარმოადგინა მოდულების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შევსებული ანგარიშები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. ხარისხის მართვის მექანიზმების თანახმად კოლეჯის ხარისხის განვითარების სამსახური ახდენს განხორციელებული შეფასებების შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის სამსახურს/სტრუქტურულ ერთეულს.

დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ შევსებული კითხვარები. გაანალიზდა თუ არა გამოკითხვის შედეგები, რა რეკომენდაციები იქნა გაცემული ან რა სახით წარედგინა შესაბამის სამსახურს/სტრუქტულ ერთეულს და მოყვა თუ არა რაიმე რეაგირება, აღნიშნულის დადგენა წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ვერ განხორციელდა.

განვითარების რეკომენდაცია: მოხდეს დამსაქმებლის და კურსდამთავრებულთა კითხვარების სრულყოფა, ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით მომზადდეს ანგარიშები/რეკომენდაციები. ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში მოხდეს აღნიშნულის დოკუმენტირება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის მართვის მექანიზმებით;
- გამოკითხვის შედეგებით;
- შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო გეგმები, როგორც ქართულენოვანი, ასევე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, თუმცა ცალკეულ მოდულებში წინაპირობების გადამოწმებისას გამოვლინდა, რომ ისინი არ შეესაბამება 2021 წლის 15 სექტემბერს ჩარჩო დოკუმენტში განხორციელებულ ცვლილებებს.

სასწავლო გეგმის მიხედვით დაცულია, კანონით გათვალისწინებული, პროფესიული სტუდენტთა კვირეული დატვირთვა, რაც არ აჭარბებს 40 საათს. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით პროგრამა - „საექთნო საქმე“ ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა,რომ სასწავლო ცხრილების შედგენისას დაწესებულება ითვალისწინებს მათ საჭიროებებს.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ვინაიდან ავადმყოფის მოვლის და შინ მოვლის მოდული ხრციელდება ადგილზე არსებულ C გარემოში, მოთხოვნილ იქნა მატერიალური რესურსების ბრუნვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აღნიშნული დოკუმენტების შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ საწყობი ავადმყოფის მოვლის და შინ მოვლის მოდულისთვის საჭირო მატერიალური რესურსისთვის ცალკე არ არის, არსებულ საწყობში უწესრიგოდაა განთავსებული მასალები, აქედან გამომდინარე რა რაოდენობის და რა ინვენტარია, დადგენა ვერ ხერხდება. დოკუმენტაციის მიხედვით მატერიალური მასალის გახარჯვის ბოლო ფაქტი განხორციელდა 2019 წლის 14 ივნისს (პროგრამის ხელმძღვანელის ზეპირსიტყვიერი განმარტებით დოკუმენტში, კერძოდ „გამოყენებული მასალის აღრიცხვის ჟურნალში“ სრულად არ არის შეტანილი ხარჯი), თუმცა აღნიშნული არ იძლევა საშუალებას დადგინდეს ამჟამად საწყობში რა რაოდენობის მასალაა დარჩენილი და არსებულიდან რა გაიხარჯა. გარდა ამისა, დირექტორის 2017 წლის15 ივნისის, ბრძანება N04-ის, - „მოდულის განხორციელების საჭირო მასალის შეძენის, გახარჯვისა და აღრიცხვის წესის“ თანახმად მასალა - ნედლეულის შევსება უნდა მოხდეს წელიწადში ერთჯერ, თუმცა მოწოდებული სასაქონლე ზედნადებით ბოლო შესყიდვა განხორციელდა 2015 წელს.

აქედან გამომდინარე პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა ვერ იძლევა მყარ გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

4. დაწესებულის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი. აღნიშნული განმარტავს რას ეფუძნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ასევე ვინ იქნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში. არ არის დაზუსტებული როგორ და ვის მიერ ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება, როგორ იქნება სსს მქონე პროფესიული სტუდენტის ჩართულობა უზრუნველყოფილი, რა ვადებში და ვის მიერ მოხდება ინდ.გეგმის დამტკიცება. დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული სტატუსაღდგენილი ან მობილობით გადმოსული სტუდენტის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა მობილობით გადასული პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, სადაც განსაზღვრულია აღიარებული/ჩათვლილი კრედიტები, ასევე განსაზრულია კვალიფიკაციის მოსაპოვებლად დამატებით გასავლელი პრაქტიკის კომპონენტები და მოცულობა.

განვითარების რეკომენდაცია: დაწესებულებამ სრულყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია, გაითვალისწინოს სტატუსის აღდგენის და მობილობის შემთხვევები, განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართული პირები, დამტკიცების ვადები, ასევე უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ჩართულობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; დაწესებულებამ წარმოადგინა სს ევექსის ჰოსპიტლებთან გაფორმებული ხელშეკრულება და ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმი. სს ევექსის ჰოსპიტლებთან გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კლინიკური სწავლებისთვის პრაქტიკული ბაზის უზრუნველყოფა, როგორც უშუალოდ კორპორაციის,ასევე მის ქსელში შემავალი დაწესებულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ბაზაზე. ხელშეკრულებას თან ახლავს 14 კლინიკური მოდულის სია, რომელიც უნდა განხორციელდეს აღნიშნულ პარტნიორთან. ხელშეკრულების თანამხად კორპორაცია ვალდებულია უზრუნვლეყოს ქსელში შემავალი სამედიცინო დაწესებულებების ბაზაზე არაუმეტეს 150 პროფესიული სტუდენტის სწავლება, კოლეჯის 7 პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს პრაქტიკის 1 ხელმძღვანელი. ხელშეკრულება გაფორმებულია 2019 წლის 15 სექტემბერს და მოქმედებს სამი წლის ვადით, მხარეები თანმხდებიან, რომ ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ორი კვირით ადრე თუ ერთ-ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება 3 წლის განმავლობაში.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2022 წლის პირველ იანვარს შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმი, მემორანდუმის საგანია პროფესიული სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის/პრაქტიკის გავლის და საამისოდ საჭირო გარემოზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა. მემორანდუმი მოქმედებს ექვსი წლის ვადით.

დაწესებულებამ წარმოადგინა ლიცენზიები,რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნია კლინიკური სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება.

პროგრამის „საექთნო განათლება“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება - კორპორაცია სს „ ევექსის ჰოსპიტლებ“ - თან და მემორანდუმი შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრ“-თან, რომლებიც ნაწილობრივ შესაბამისობაშია პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, კერძოდ მათში გათვალისწინებულია პრაქტიკის განმახორციელებელი პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მითითებულია განმახორციელებელი პირის/პირების პროფესიულ სტუდენტებთან თანაფარდობა (1/7), თუმცა არ ახლავს ასევე პროგრამის ჩარჩო დოკუმეტით გათვალისწინებული პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

წარმოდგენილი ხელშეკრულების და მემორანდუმის თანახმად აღნიშნული ბაზაზე ხორციელდება შემდეგი კლინიკური მოდულები:

1. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5. კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
7. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
9. კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.
11. კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები
12. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.
13. კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
14. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

თუმცა, რადგან კორპორაცია სს „ ევექსის ჰოსპიტლები“ მოიცავს რამდენიმე ათეულ კლინიკას, არსებული დოკუმენტით ვერ დგინდება კონკრეტულად, კორპორაციის რომელ კლინიკაში, რომელი პრატიკული მოდული ხორციელდება.

კოლეჯმა, ასევე წარმოადგინა, ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია პრაქტიკის ობიეტრებზე მითითებული სამედიცინო საქმიანობის ნებართვის შესახებ, თუმცა აქაც არ არის კორპორაცია სს „ევექსის ჰოსპიტლების“ სრული ჩამონათვალი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ იძლევა ნათელ სურათს პარტნიორი კლინიკები როგორ უზრუნველყოფენ დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოდულების ფარგლებში პრაქტიკის განხორციელებას, რომელ კლინიკაში რომელი კლინიკური მოდული განხორციელდება.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულება ადგილზე ახორციელებს პროგრამა „საექთნო განათლების“ თეორიულ მოდულებს, პრაქტიკული მოდულებიდან შინ მოვლას და ავდმყოფის მოვლას, დანარჩენი კი გატანილია პრაქტიკის ობიექტებზე. პრაქტიკის ობიექტები ხელშეკრულების და მემორანდუმი ფარგლებში, პასუხისმგებლები არიან პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებაზე, გარდა ამისა, რადგან მოდულები - ავად მოვლა და შინ მოვლა სიმულაციურ გარემოში ტარდება და არ გროვდება საშიში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

განსაკუთრებით საშიში კატეგორიის ნარჩენები, აღნიშნული პროგრამისათვის ზოგადი უსაფრთხოების ნორმების არსებობა დაწესებულებაში სრულიად საკმარისია.

განვითარების რეკომენდაციები:

დაწესებულებამ უზრუნველყოს სახარჯი მასალების დროული და სრულყოფილი აღრიცხვა;

პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დაერთოს დანართები,სადაც აღნიშნული იქნება ინფორმაცია კლინიკური მოდულების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;

განისაზღვროს რომელ ჰოსპიტალში რომელი კლინიკური მოდულის სწავლება განხორციელდება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი;
- პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება და მემორანდუმი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია.
- „გამოყენებული მასალის აღრიცხვის ჟურნალის;“
- დირექტორის 2017 წლის 15 ივნისის, ბრძანება N04-ის, - „მოდულის განხორციელების საჭირო მასალის შეძენის, გახარჯვისა და აღრიცხვის წესი;“
- სასაქონლე ზედნადები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი - სასწავლო პროცესის განხორციელებისას წარმოშობილი ნარჩნების მართვა და ტექნოლოგიურ პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩნების მართვა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესის მესამე მუხლით განსაზღვრულია, რომ შეფასებისას გამოიყენება არა დიფერენცირებული მიდგომა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგის სრულად დადასტურებას და ფასდება შემდეგნაირად: „სწავლის შედეგები დადასტურდა“ ან–„სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა“. ამავე წესის მეოთხე მუხლის თანახმად 4.3.1 პუნქტის თანახმად განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. **განმსაზღვრელი შეფასებისას გამოიყენება დიფერენცირებული შეფასების მიდგომა** და თავისი არსით კონკრეტული სწავლის შედეგისან სწავლის შედეგების საბოლოო შეფასებაა. (იხილეთ დანართი 5). ასევე პროფესიულ პროგრამაში გვხვდება შემდეგი ჩანაწერი: პროფესიულ სტუდენტს მოდულის შესაბამისი კრედიტი ენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია: განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. პროფესიული სტუდენტის შეფასება ხორციელდება მოდულური პროგრამით გათვალისწინებულ შეფასებასთან ერთად, კოლეჯის მიერ დადგენილი წესით - 100 ქულიანი სისტემით.

დაწესბულებას განსაზღვრული აქვს შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისან და ობიექტურობის კრიტერიუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.დაწესებულებას შემუშავებუში აქვს ვერიფიკაციის მექანიზმები, აღნიშნული პროცედურები გაწერილია კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესში. დაწესებულებას ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია (ვერიფიკაციის გეგმა, შეხვედრის ამასხველი დოკუმენტაცია, ანგარიშები) არ წარმოუდგენია.

3.დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოები,სადაც დაცულია პროფესიული სტუდენტების ნამუშევრები (ტესტები,ჩეკლისტები), დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში არ არის განსაზღვრული როგორ ხდება მტკიცებულებების აღრიცხვა, სად, რა ვადით და ვის მიერ ინახება მტკიცებულებები.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროფესიული მასწავლებლებისგან იღებენ უკუკავშირს შეფასებებთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში ენიშნებათ საკონსულტაციო შეხვედრები.

შესაბამისობის რეკომენდაცია: კოლეჯის შიდა მარეგულირებელ აქტებში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული ჩანაწერები მოვიდეს შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტის ჩანაწერებთან და განმსაზღვრელი შეფასებისას გამოყენებული იქნას მხოლოდ კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება. დაწესებულებამ განსაზღვროს მტკიცებულებების აღრიცხვის ფორმა და ვადები.

განვითარების რეკომენდაცია: დაწესებულებამ პრაქტიკაში განახორციელოს ვერიფიკაცია.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, აღნიშნული კომპონენტის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესით;
პროფესიული პროგრამით;
პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოებით;
პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

XII. ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	
პროფესიული განათლების დონე	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	
პროგრამის განხორციელების ენა	
პროგრამის განხორციელების ადგილი	
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

XIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. ქვეიჯარის ხელშეკრულება
დანართი 3. იჯარის ხელშეკრულებაზე შეთანხმება
დანართი 4. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის ბრძანება
დანართი 5. პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი
დანართი 6. პროფესიული სტუდნეტის სტატუსის შეჩერების ბრძანება.

11.07.22
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)